ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №2473903

ნომერი: AR1380496

თარიღი : 22.02.2016

გაცემის თარიღი : 10.03.2016

გაცნობის თარიღი : 11.03.2016

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , გამზირი აკაკი წერეთელი , N 27 ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ვლადიმერ ფირცხალავა პ/ნ 01008024732
- თბილისი ი.ჭავჭავაძის გამზ. N 58 ბ. 17

ნომენკლატურა :

- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები
- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში ცვლილება

ქ. თბილისის მერიის სსიპ – თბილისის არქიტექურის სამსახურის 30.12.2010 წ. #1805 სამშენებლოდ მიწის ნაკვეთის გამოყენების პირობებში ცვლილების შეტანის თაობაზე
22.02.2016 წ. #AR1380496 განცხადებით ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექურის სამსახურს მომართა მოქ. ვლადიმერ ფირცხალავამ და მოითხოვა სამსახურის 30.12.2010 წ. #1805 სამშენებლოდ მიწის ნაკვეთის გამოყენების პირობებში ცვლილების განხორციელება, კერძოდ ფუნქციური ზონის ცვლილება.
საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის თანახმად, სამსახურმა გამოიკვლია საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ ქ. თბილისის მერიის სსიპ – ქ. თბილისის არქიტექურის სამსახურის მიერ 30.12.2010 წ. აკაკი წერეთლის გამზირზე #27-ში, არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: #01.13.07.004.003 , ფართობი: 1328 კვ.მ) მრავალფუნქციური (საცხოვრებელი–საოფისე) შენობა–ნაგებობის აშენების მიზნით დამტკიცებული იქნა #1805 სამშენებლოდ მიწის ნაკვეთის გამოყენების

პირობები. აღნიშნული პირობები დადგინდა საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა-2 (სსზ-2) და საცხოვრებელ ზონა–3 (სზ–3)–ის არეალში. ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექურის სამსახურის 01.04.2015 წ. #1816360 ბრძანებით შევიდა ცვლილება ქალაქ თბილისის მერიის სსიპ – ქალაქ თბილისის არქიტექტურის სამსახურის 30.12.2010 წ. #1805 სამშენებლოდ მიწის ნაკვეთის გამოყენების პირობებში.

განმცხადებლის მიერ სამსახურში წარმოდგენილი დოკუმენტაციიდან დგინდება, რომ მოხდა ფუნქციური ზონის ცვლილება და აღნიშნული მიწის ნაკვეთზე ვრცელდება მხოლოდ საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა-2 (სსზ-2).

"მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის №57 დადგენილების თანახმად, სამშენებლოდ მიწის ნაკვეთის გამოყენების პირობებში უნდა აისახოს კანონმდებლობით, მათ შორის ამ დადგენილებით განსაზღვრული ის სავალდებულო მოთხოვნები, რომლებიც აუცილებელია მშენებლობის განხორციელების დოკუმენტების პროექტების შემუშავებისათვის.

ვინაიდან, კანონმდებლობის მოთხოვნებიდან გამომდინარე, ცვლილება უნდა აისახოს სამშენებლოდ მიწის ნაკვეთის გამოყენების პირობებში, სამსახურმა მიზანშეწონილად მიიჩნია დამკვეთის მოთხოვნის დაკმაყოფილება.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის და “მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის №57 დადგენილების შესაბამისად,

"მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57-ე დადგენილების და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის შესაბამისად

ვბრძანებ

1. შევიდეს ცვლილება ქალაქ თბილისის მერიის სსიპ – ქალაქ თბილისის არქიტექტურის სამსახურის 30.12.2010 წ. #1805 სამშენებლოდ მიწის ნაკვეთის გამოყენების პირობებში, კერძოდ: ფუნქციურ ზონად დაფიქსირდეს საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა-2 (სსზ-2);
2. წინამდებარე ბრძანება განხილულ იქნას ქალაქ თბილისის მერიის სსიპ – ქალაქ თბილისის არქიტექტურის სამსახურის 30.12.2010 წ. #1805 სამშენებლოდ მიწის ნაკვეთის გამოყენების პირობებთან და ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექურის სამსახურის 01.04.2015 წ. #1816360 ბრძანებასთან ერთად;
3. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: შარტავას ქუჩა #7) საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, სამსახურის ტექნიკური პრობლემების ცხელ ხაზზე - 2378346, ან ისარგებლოთ არქიტექტურის სამსახურის ონლაინ კონსულტაციის სერვისით, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.